№ 28

სამშაბათი, 18 თებერვალი 1897 წ.

1877—1897

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 28

სამშაბათი, 18 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ბიბლიოთეკა БИБЛИОТЕКА Музея Респ. Грузии

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

**ნატალია იაკობის ასული ქორქაშვილისა, გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილი და მისი დანი და ძმანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარსა სიკვდილსა პირველის საყვარელის ქმრისას, ხოლო უკანასკნელთა—მამისას, **ლუკა დავითის ძის ქორქაშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, ქუთაისს, განსვენებულის სადგომში, საიდგანაც გვამი მიცვალებულისა წასვენებულ იქმნება დ. ხონში. (2—6—1)

## რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი ათვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს 19 თებერვალს

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## ჰამლეტ

ტრ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, გამყრელიძისა; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

ხუთშაბათს, 20 თებერვალს,

ტფილისის კლუბის დარბაზში გამართულ იქმნება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“

სასარგებლოდ

## კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნ. კ. ფ. გურამიშვილი, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. ლ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. მატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი.

კონცერტის შემდეგ გაიმართება

## საცეკვაო საღამო

ლეკურითა და კოტილიონით

ტანისამოსი: სამხედრო ჩვეულებრივი, დანარჩენთათვის ფრაკი სავალდებულო არ არის.

დაიწყება საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა, სასახლის ქუჩაზედ) და კონცერტის დღეს კლუბის შვეიცართანაც. (4—8—2)

მომავალ მარტის 9-ს დანიშნულია

### ბორჩალოს თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება

ტფილისის კეთილშობილთა დეპუტატთა კრებულის კანცელარიის სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლში.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი აფხაზი აუწყებს-რა ამას თავად-აზნაურობას ბორჩალოს მაზრისას, უმორჩილესად სთხოვს: წარმოადგინონ წინადვე, ვიდრე კრება შესდგებოდეს, საბუთნი თავიანთის უფლებისა, რათა ნება მიეცეთ არჩევანებში დასწრებისა და თავად-აზნაურთა საქმეების განხილვისა. ეს საბუთნი უნდა წარმოდგენილ იქმნას დეპუტატთა კრებულის კანცელარიაში სიაში აღსანიშნავად.

ბორჩალოს მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი თავადი გ. აფხაზი. (3—6—1)

### ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მმართველობა

ამით აუწყებს თავისს წევრთ, რომ კვირას, 30 მარტს, ამა წლისას, დილის 10 საათზე, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება ამა საზოგადოების წევრთა.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს:

1) საზოგადოების 1896 წლის ანგარიში.

2) ხარჯთ-აღრიცხვა 1897 წლისა.

3) არჩეულ უნდა იქმნას საზოგადოების საბჭოს სამი წევრი, იმათ ნაცვლად, რომელნიც სამსახურის შესრულებისა გამო ანებებენ თავს ამ თანამდებობას.

4) არჩეულ უნდა იქმნას მმართველობის თავმჯდომარე, ეხლანდელის ნაცვლად, რომელიც თავს ანებებს თავისს თანამდებობის სამსახურის შესრულებისა გამო.

5) არჩეულ უნდა იქმნას სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და სამი ამათი კანდიდატი.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს ბ-ნ წევრთ ადრევე იზრუნონ რწმუნების ქაღალდებისათვის, რომელნიც, საზოგადოების წესდების მე-36 §-ის ძალით, საზოგადო კრებამდე სამის დღით ადრე უნდა იყოს წარმოდგენილი საზოგადოების მმართველობაში, ე. ი. ამა წლის 26 მარტზედ არა უგვიანესს, რათა უფლება ჰქონდეთ კენჭისა ამა კრებაზედ. (3—6—1)

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა: მე-39 არტილერიის ბრიგადის უფროსი, გენერალ-მაიორი თავადი ხიმშიაშვილი—კავკასიის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის უფროსად.

გარდაყვანილ იქმნენ: დიდის მთავარის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სახელობის მე-15 გრენადერთა რაზმის შტაბს-კაპიტანი მეიფარიანი—იმიერ-კასპიის ოლქის ჯარების ბუხგალტრად; ასლანდუზის ზურგის ჯარის ბატალიონის პორუჩიკი კილოსანიძე—შუშის ადგილობრივს რაზმში.

მომრიგებელ-მოსამართლეთა თანაშემწენი: თიონეთის განყოფილებისა ტიტულიარნი სოვეტნიკი ვოლოდკოვიჩი, ზუგდიდის განყოფილებისა, გამგე ცალენჯიხის საგამომძიებლო ნაწილისა, ტატიშვილი და შორაპნის განყოფილებისა, კოლლეჟსკი ასესორი სტრუმენსკი გადაყვანილ იქმნენ: პირველი—ახალციხის განყოფილებაში, მეორე—სენაკის განყოფილებაში, ნაოდალევის მომრიგებელ-სასამართლოს ნაწილის გამგედ, ხოლო მესამე—ზუგდიდის განყოფილებაში, ცალენჯიხის საგამომძიებლო ნაწილის გამგედ.

## ახალი ამბავი

*** 19 თებერვალს, ოთხშაბათს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში ქართველი არტისტები, ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ჰამლეტს წარმოადგენენ.

*** ამ დღეებში კავკავიდგან „ნოვ. ობოზ.“-ს შეატყობინეს, რომ ნიკ. ს. მანსუროვმა თავი მოიწამლაო. განსვენებული რამდენიმე წლის განმავლობაში „ნოვ. ობოზრ.“-ის გარდა სხვა რუსულ გაზეთებსაც თანამშრომლობდა.

# ფელეტონი

## დასტამბულის სიტყვის იდეალები

პროფესორის ი. რ. თარხნიშვილისა.

...დიდი ხანია განქრა ის დრო, როდესაც ჟურნალ-გაზეთებს, დღიურ მოვლენათა აღნიშვნის გარდა, აზრად სხვა არა ჰქონდათ-რა. ჩვენს დროში წარმოდგენაც-კი ძნელია იმისთანა გაზეთისა, რომ მარტოდ-მარტო ფაქტები და მოვლენანი აღნუსხოს, როგორადაც წესად იყო მიღებული დასტამბულ სიტყვის აღორძინების პირველ ხანებში. ჩვენის დროის მკითხველი ამგვარ აღნუსხვის გარდა გაზეთისაგან სულ სხვა, აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოელის; მკითხველს უნდა, რომ გაზეთში მოყვანილი მასალა ყოველ მხრივ იყოს გასინჯული—სოციოლოგიურად, პოლიტიკურად, ეკონომიურად, მეცნიერულად, ზნეობრივად და ხელოვნურად; უნდა იქვე ჰპოვოს განმარტება ამ ფაქტების მნიშვნელობისა; ამასაც არა ჰკმარობს და ჰსურს იქვე იყოს ნაჩვენები ის პირობანი და საშუალებანი რომელსაც უნდა მიჰმართოს საზოგადოებამ, თუ უნდა მიაღწიოს დროებისა დაკვალად უმაღლესს განვითარებას და სულიერსა და ქონებრივს კეთილდღეობას.

დასტამბულ სიტყვის მოვალეობაზედ ამ გვარი შეხედულება ჩვენს დროში უცბად არ შემდგარა. აწინდელი ცხოვრება ისე რთულია, ბრძოლა ცხოვრებისათვის ისე გამწვავდა შრომის სულ მეტად და მეტად განაწილებისა და ცხოვრების სიძვირისა გამო, რომ ჩვენის დროის ადამიანს დრო აღარა აქვს თითონვე გაიცნოს სხვა-და-სხვა საინტერესო მოვლენანი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და თითონვე შეადგინოს მათ შესახებ საკუთარი აზრი. საზოგადოების და ერის მოქალაქებრივი და პოლიტიკური ცხოვრება-კი შეუძლებელია, თუ მათი შემადგენელნი წევრნი შეთანხმებულნი არ არიან, თუ დაკავშირებული არა აქვთ ერთმანეთის ინტერესები, თუ არ იციან, რა ხდება მათ გარეშემო და საით მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრება. სწორედ ამ მნიშვნელობით სავსე საგნების პასუხს ეძებს ჩვენის დროის მკითხველი ჟურნალ-გაზეთებში და ისიც პასუხს აძლევს, პასუხს ნათლად და მოკლედ გამოთქმულს, რომ რაც შეიძლება ნაკლები დრო მოანდომოს მის გაცნობას. ამ გვარის მოთხოვნილებით მიჰმართავს იგი მეტადრე ყოველ-დღიურ გაზეთს, რომელმაც ამ უკანასკნელს ხანებში უფრო და უფრო მეტი გავლენა მოიპოვა, ვიდრე სხვა რომელმამე დასტამბულმა სიტყვამ.

ნუ დავმალავთ იმ ჭეშმარიტებას, რომ თუ კაცი რომელისამე შრომითა სცხოვრობს, ათასში ერთის გარდა, დღეში ერთს და, სულ ბევრი, ორს რჩეულს გაზეთს გადაათვალიერებს და იქიდგან ამოჰკრებს ხოლმე როგორც ყოველ-დღიურს ახალს ამბებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა-და-სხვა მოვლენის შესახებს აზრსა და შეხედულობას. სხვას, ამის გარდა, უდროობისა გამო თითქმის ვეღარას კითხულობს და დღიურის შრომით მოქანცულს არც სურვილი აქვს ღამეც არ დაისვენოს. გარდა ამისა, ჩვეულებრივ გაზეთში განსჯილია ხოლმე და დაფასებული საზოგადოების ყოველ გვარი მოქმედება და შედარებით უფრო ნათლად განმარტებული, უფრო მოკლედ და ყველასთვის გასაგებად ნათქვამი. მაშ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ დასტამბულის სიტყვის ერთმა, ყოველ-დღიურმა, ფორმამ მიიზიდა მკითხველთა უმრავლესობა, დააქვეითა ყოველი სხვა ფორმა და თავისის ზნეობრივისა და გონებრივის ზედგავლენით საზოგადოებრივს აზრს წინ გაუძღვა ხელმძღვანელად. ის აზრები, რომელთაც დღე-და-დღე შეუყენებლივ ჰფენს საზოგადოებაში გაზეთი, ღრმა კვალს უნდა ამჩნევდეს მკითხველის გონებას, ერთგვარ შთამამავლობის ქვეშე უნდა ჰყვანდეს იგი და ამითი ზედგავლენა იქონიოს საზოგადოებრივის აზრის შედგენასა და ამ აზრიდგან მომდინარე დასკვნაზედ.

ამ მიზეზებისა გამო, არათუ დიდია გაზეთის გავლენა, იქნება სასურველზედ მეტიც იყოს. გამოჩენილი პროფესორი ვირხოვი და ვესტფალი სცდილობდნენ გამოეკვლიათ გერმანიაში ამ უკანასკნელ დროის რამდენისამე თაობის გონებრივი ძალა ჰმატულობს თუ არაო, და ამ დაკვირვების დროს იმისთანა ნიშნები ჰნახეს, რომელიც ცხადად ამტკიცებს გაზეთის მეტის-მეტს და სამწუხარო გავლენას. ავტორებს სურდათ გაეგოთ, რამდენად მომზადებულია გონებრივ ახალი თაობა, და დარწმუნდნენ, რომ იმათი რიცხვი, რომელთაც საკუთარი დამოკიდებული მოსაზრება და თავისებური შეხედულება აქვთ სხვა-და-სხვა საგნის შესახებ, ყოველ თაობაში უფრო და უფრო მცირდება; ამ შემცირებას ისინი სთვლიან გონებრივის ძალის შესუსტების მომასწავებლად, და ამბობენ, რომ იგი მომავალში თვით ცივილიზაციურად უქადის დაქვეითებასაო. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზად ბევრნი ამას ასახელებენ, რომ ერთობ გავრცელებულს დასტამბულს სიტყვას მთლად დამონავებული ჰყავს მოზარდი თაობა, რომელსაც ძალის-ძალად აწვდის მზა-მზარეულს, ცუდად დასაბუთებულს აზრებს და მკითხველის საკუთარს გონებრივს ძალას-კი სრულიად უვარგისოდა და უვარგისოდა სტოვებსო. თუ ეს ნაკლულევანება მართლა ყოველ განათლებულ ერსა სჭირს, მაშინ ეს საბუთიც დაგვემოწმება იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ დასტამბულს სიტყვას მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია, როგორც სალსარს საზოგადოებრივის განათლებისას.

სწორედ ეს დიდი მნიშვნელობა აიძულებს დასტამბულს სიტყვას—არსად უმტყუვნოს თავ ისს წმინდა დანიშ-

*** ახლად დანიშნული კავკასიის მთავარ-მართებელი ს. გ. გოლიცინი ჩამობრძანდება ქ. ტფილისში სამს მარტს.

*** ბ. ტფილისის გუბერნატორს სოფლის საზოგადოებათა ორი განაჩენი დაუმტკიცებია: 1) მეტეხის სოფლის საზოგადოებისა—მეტეხის სკოლისათვის ახალის შენობის აგების შესახებ და 2) გომის საზოგადოებისა—გომის სასოფლო სკოლის შენობის შეკეთების შესახებ.

*** იმ ბალიდგან, რომელიც 8 თებერვალს ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ გამართეს, მხოლოდ 700 მან. შემოსულა. ამ ფულიდგან რომ ხარჯი გამოვრიცხოთ, საზოგადოების კომიტეტს 500 მანეთიც არ დარჩება. როგორც ვუწყით, ხსენებულ კომიტეტს ამ სეზონის განმავლობაში დიდი ხარჯი მოუვიდა, და თუ რაიმე წყარო არ გამონახა, ზარალს ვერ აუვა.

*** ოსმალეთიდამ გამოქცეულ სომხების დასახმარებლად, ბ-ნ მთავარ-მართებლის ნება-რთვით, ტფილისის გუბერნატორს დაუნიშნავს დროებითი კომიტეტი, რომელშიაც თავმჯდომარედ ნაფიცი ვექილი კ. ნ. რეიტერია და წევრებად ა. ს. ანანოვი და ა. ი. მანთაშევი.

*** სოფ. უჯარმაში, (ტფილისის მაზრა) საქონლის ჭირი გაჩენილა.

*** ქ. ბათუმი. დეკემბრისა და იანვრის დღეებმა ისე გაიარა, რომ თოვლი არ დაუდვია. დეკემბერში ისეთი დარები დაგვიდგა, გეგონებოდათ მაისის დღეებიაო, მაგრამ იანვარში დიდი ცვლილება მოხდა, ადამიანს მეტის-მეტ სიცხის გამო სიარული უჭირდებოდა, ხან დაგვიდგებოდა ხმელი სიცივეები და ხან თბილი ჰაერი, გამომწვევი ქარ-ბუქისა და თოვლ-ჭყაპისა. ჰაერის დაუდევრობისა გამო ჩვენში გაჩნდა სხვა-სხვა გვარი ავადმყოფობა: ციებ-ცხელება, ყელის ტკივილი, სურდო, ხველა და სხვა... ულმობელმა ყვავილმა ხომ მუსრი გაავლო ჩვენს ახალს მოზარდს და მრავალი გამოასალმა ამა სოფელს.

*** დ. ჩოხატაური. აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც ამ დაბაში სამკითხველო დაარსდა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ძალიან ღარიბი არის. როგორც გავიგეთ ამ სამკითხველოს მმართველს ქ-ნს ელისაბედ ჯიბუტის ასულს თავი დაუნებებია და ამის გამო უყურადღებოდ არის დარჩენილი. თუ სამაგიერო გულის-მტკივნეული და პატრონი არ გამოუჩნდა ამ სამკითხველოს, ძნელად თუ მან იბოგინოს-და.

*** კომედია „მოგონილი დეიდა“, წარმოდგენილი პირველად კვირას, 16 თებერვალს, ძალიან მხიარული და სასაცილო პიესა გამოდგა. პიესა მართალს სიცილს უფრო იმიტომ იწვევს, რომ სასაცილოა ოხუნჯობა კი არა, ბაასი კი არა მომქმედთა, როგორც უმრავლეს კომედიებსა აქვთ ზნედ დაჩემებული, არამედ თვით მდგომარეობა მომქმედთა. პიესის შინაარსის გადმოცემას საჭიროდ არა ვსთვლით, მხოლოდ სამწუხაროდ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ წარმოდგენას მეტად მცირე საზოგადოება დაესწრო, სამაგიეროდ, ვინც დაესწრო, ბევრი ისიამოვნა.

წარმოდგენის მხრივ ორივე პიესამ, როგორც კომედიამ, ისე ვოდევილმა მწყობრად ჩაიარა.. ჩვენს მოვალეობადა ვსთვლით მხოლოდ აღვნიშნოდ ზომიერი, თავ-დაჭერილი თამაშობა ქ-ნის კუნდელისა, რომელიც პირველს პიესაში ელლა დელეის როლს თამაშობდა და თამაზიშვილის მოფიქრებული აღსრულება მოსამსახურე ბრასსეტის როლისა.

*** ტფილისის პოლიცია კავკასიის მეორე მსროლელთა ბატალიონის ჯარის-კაცს ილარიონ არჩვაძეს დაეძებს, რომელიც 7 თებერვალს ყაზარმიდგან გაპარულა.

*** როგორც გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-კი გვაუწყებს, მამა იოანე კრონშტადელს ბათუმის სამრევლო სასწავლებლისათვის თავისი დიდი სურათი გამოუგზავნია საჩუქრად.

*** ქუთაისის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ იაროსლავს განუზრახავს სასწავლებლის ეზოში გამართოს ბაღი და პრაქტიკულად შეასწავლოს მოსწავლეთ ბაღოსნობა, ამერიკული ვაზის მოშენება და დამყნა.

*** კრებული მთის მცენარეებისა, ნაპოვნი შუა კავკასიაში, რომელიც ნიჟეგოროდის გამოფენაზე იყო გამოფენილი, გაზ. „ლუჩ“-ის სიტყვით კავკასიის მუზეისათვის შეუძენიათ, ეს კრებული შეიცავს თურმე 300 სხვა-და-სხვა მცენარეს და მოკრებილია ყაზბეგსა და ელბრუსს შუა.

*** შორაპანი. 16 თებერვალს თოვლისა და წვიმების გამო ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგზედ რამდენიმე ვერზედ ჩამოწვა ქვისა და მიწის ზვავები. თოვლ-ჭყაპი მოდის.

სად. აბაშა. (სენაკის მაზრა). აქეთ, როგორც საზოგადოთ იმერეთსა და სამეგრელოში, საშინლად ცუდი ამინდი სდგას. წვიმა და თოვლი 27 იანვრიდგან შეუწყვეტლად მოდის. წყლები ადიდდა და ადგილობრივი მკვიდრნი მეტად შეწუხებულნი ვართ. შიშობენ წარსული წლის წყალდიდობა არ დაგვიბრუნდესო.— სიმინდის ფასი ძალიან დაეცა, ფუთი 25 კ. ჰფასობს, ისიც რკინის გზის სადგურზედ თუ იქმნა მიტანილი. ქურდობა, სახლიდგან საქონლის გამოყვანა დ წაყვანა ჩვეულებათ არის გადაქცეული. სამგრელო სოფლები ლეხაინდრა, ვონბანძა ქურდებისა და ღამის რაინდების ბუდედ არის გადაქცეული. კარგი იქნებოდა, რომ რამე საშუალება იყოს ხმარებული ამ ვაჟ ბატონების წინააღმდეგ.

ოზურგეთი. 14 თებერვალს ღამით ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ნაშუაღამის 1-ს საათზედ ცეცხლი გაუჩნდა ქიქოძის სახლებს, რომელშიაც სცხოვრებდა ჩვენი წიგნების გამომცემელი კ. თავართქილაძე. ოთახს გაუჩნდა ცეცხლი იმ დროს, როცა ეძინათ კ. თავართქილაძის დედას და ცოლსა; დედას უფრო ადრე გაეგო, მაგრამ ისე შეშინებოდა, რომ რძალი ვერ გაეღვიძებინა და კარში გამოვარდნილიყო; რძალია ჩემი ოთახში და მიშველეთ რამეო, მაგრამ ცეცხლში შევარდნას ვინ გაბედავდა, საწყალმა შიგ დარჩენილმა ქალმა ბოლოს-კი გაიგო და ბევრიც იწივლა, მაგრამ ვინღა უშველიდა, მთელი სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ასეთმა უბედურმა შემთხვევამ შეიწირა საბრალო ყმაწვილი ქალი. ოჯახის უბედური ამბავი მაშინვე აცნობეს კ. თავართქილაძეს ბათუმში. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერაც არ არის გამორკვეული.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, 15 თებერვალს, სპარსეთის მთავარ-კონსულის უფროსს მდივანს მირზა-მამედხანს, რომელიც ამ ჟამად კონსულის თანამდებობას ასრულებს ტფილისში, თეირანიდგან სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მუშირ-უდ-დოვლესაგან შემდეგი დეპეშა მოსვლია: „სანამ ახალ განკარგულებას მოვახდენდე, საკონსულოს მმართვას შენ განდობ. მირზა-აღა ხანს, ტფილისის მთავარ-კონსულის თანამდებობის აღმასრულებელს, ვუბრძანებ დაუყოვნებლივ თეირანს დაბრუნდესო“.

*** სოხუმი. 9 თებერვალს სოფ. ბედიაში მცხოვრები აზ. კეგუს მახარია თავისს ცოლ-შვილთან ერთად იჯდა თურმე და ვახშამს შეექცეოდა. ამ დროს ვიღაცამ უეცრივ სახლის კარები გააღო და მახარიას თოფი დაახალა რამდენჯერმე. საწყალს ერთი ტყვია გულში მოხვედრია, მეორე კისერში და იქვე სული დაულევია. მკვლელობის გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. დალაყავა: (კავკავის მაზრა): სოფ. დალაყავა მთა ალაგია. საზოგადოდ აქ მთის მცხოვრებნი ხელ მოკლენი არიან და ადგილ-მამულიდგან არაფერი შემოსავალი არა აქვთ, როგორც ბარის ოსებს, მაგრამ სწავლა-განათლებას-კი ეტანებიან. ამიტომ თითქმის მთის ოსების ერთს სოფელსაც ვერა ჰნახავთ, რომ სასწავლებელი არა ჰქონდეთ. დალაყავაშიაც იყო სასწავლებელი, მაგრამ, „მოტეხილს მოსტეხიანო“, რომ იტყვიან, სწორედ ისე მოუვიდა სოფ. დალაყავას იანვრის ნახევარს რიცხვში სწავლის შემდეგ, შეგირდები რომ დაითხოვეს, მოსამსახურემ დაასუფთავა კლასი, მერე ადგა დ მეორე დღისთვის გასაშრობად ნედლი შეშები შეალაგა ბუხარში, გამოჰკეტა კარები და გამოვიდა. დაღამდა. ბუხარში ცეცხლი დარჩენილიყო და ნელ-ნელა მოჰკიდებოდა შეშას. ცეცხლი გაძრიელდა დ, რადგანაც ბუხარი დახურული იყო, მოსდებოდა ფიცრის იატაკს. ჯერ ისევ ვახშმობის დრო იყო, რომ ცეცხლი მოედო მთელს შენობას. სოფელმა ჩქარა გაიგო, თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთი რვეულიც ველარ გადაარჩინეს.

*** სოფ. უჯდგარონი, (კავკავის მაზრა): ამ სოფელში ერთმა რაღაცა უცნაურმა სენმა იჩინა თავი. ავადმყოფებს სიცხეს აძლევს. თავისა, თვალებისა და მარცხენა ფერდის ტკივილსა ჰგრძნობენ. ეს ავადმყოფობა ბევრს ზარალს აძლევს ხალხს და ბევრსაც ასალმებს წუთი-სოფელს. ამნაირივე სენი მძვინვარეობს სოფ. ხუმელაგაშიაც.

*** ახალციხე. ძველი ქალაქი ისეც დამცირებულია ვაჭრობით, რადგან გზები არა გვაქვს რიგიანი. ტალახის დროს გლეხები ვერ შემოდიან სავაჭროდ. ამას როგორც იყო ვუძლებდით, მაგრამ სხვა უარესი გაჭირვება მოგვადგა კარზედ. აქაურები შედიოდნენ ყავახანებში და რაც ჰქონდათ, თუ არ ჰქონდათ, ცოლის ნივთები თუ სახლის ავეჯეულობა, ჰყიდდნენ და აგებდნენ ბანქოს და ლოტოს თამაშობაში. ამ ყომარბაზობითა ჰქონდათ გამძვრალი ტყავი დიდსა და პატარას. რა გინდათ, რომ აქ თა-

---

ნულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გავლენა საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობაზედ, პირდაპირ ეწინააღმდეგება პროგრესისა და განვითარების დედააზრს.

მაშ რა გზას უნდა ადგეს დასტამბული სიტყვა, რომ პირნათლად აასრულოს საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობა და რა ადამიანი უნდა იყოს ჟურნალისტი, რა გვარი მისწრაფებანი უნდა უცხოველებდეს იმისს გულს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო აზრების გამავრცელებელ იარაღად შეიქმას? რაც შეეხება უკანასკნელს, ესე იგი, ჟურნალისტს, ყოველ მხრივ წუნდაუდებელს პუბლიცისტს, გონებისა და ცოდნის გარდა, სამი ბუნებრივი თვისება უნდა ჰქონდეს: გულხმიერი უნდა იყოს, რომ ყოველი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებისა პასუხს ჰპოვებდეს იმის გულში; რიგიანი, ზომიერათ აღსავსე უნდა იყოს ამ მოვლენათა განსჯის დროს, და უსამზღვროდ უნდა უყვარდეს სიმართლე. განსაკუთრებული ნიჭი უნდა ჰქონდეს, რომ საზოგადოებრივის ცხოვრების იმისთანა მოვლენა ჰპოვოს დიდ მნიშვნელოვანად, რომელსაც უბრალო მკითხველი ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ის-კი ამ ნიჭის წყალობით დაუკვირდეს ყოველს მოვლენას, ჯეროვანად ასწონდასწონოს იგი და სასურველი მსვლელობა მისცეს.. ეს ნიჭი შედეგია მისის ბუნებრივის გულხმიერებისა და სოციალური მოვლენათა ისტორიულად შეგნებისა. გულ-წრფელობა და დაურიდებლობა, რომელსაც პუბლიცისტი უნდა გიმოიჩენდეს ხოლმე ყოველ მოვლენის განსჯის დროს, შედეგია სიმართლის სიყვარულისა; თავის დროზედ აღძვრა საგნებისა და მათი მიუდგომელი განსჯა შედეგია მისის ბუნებრივის რიგიანობისა და ზომიერებისა.

თქმა არ უნდა, რომ თუ ერთსა და იმავე ადამიანში სამივე ზემოდ აღრიცხული ბუნებრივი თვისება შეერთდა, ეს გარემოება, უტყუარს საბუთს მოგვცემს, რომ მისი პუბლიცისტური მოქმედება უმაღლეს კაცთ-მოყვარეობით იქმნება გამსჭვალული. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტის-მეტად იშვიათია, რომ ამ სამავე თვისებამ ერთ ადამიანში მოიყაროს ბეჯნიერად თავი. გულხმიერს, სხვის ჭირით შეწუხებულს და სხვის ლხინით გახარებულს, დიდად მართალი კაციც რომ იყოს იგი, ერთობ ურიგო სიფიცხე სჭირს; და იმან-კი, ვინც რიგიანი ზომიერებითა და თავ-დაჭერილობით სავსე კაცია, ხშირად არა იცისრა სიმართლისა და დაურიდებლობისა. საზოგადოების გზის მკვლევარს-კი ეს სამივე თვისება უნდა ამკობდეს და ამშვენებდეს.

გავსინჯოთ ახლა თვით საგანი პუბლიცისტის მოქმედებისა, ესე იგი, რთული წყობილება საზოგადოებრივის ცხოვრებისა, რომელიც ორგვარად—საზოგადოების წევრთა სულიერ და მატერიალურ მოქმედებაში გამოიხატება. განათლებულ ერთა სულიერს მოქმედებას შეადგენს სარწმუნოებრივი, ზნეობრივი, მეცნიერული და ხელოვნური ცხოვრება; მატერიალურს, ე. ი. ეკონომიურს მოქმედებას შეადგენს: წარმოება—ფიზიკურის შრომით სხვა-და-სხვა სიმდიდრის მოპოვება, ამ სიმდიდრის საზოგადოებაში განაწილება და მოხმარება. ყოველგვარი მრეწველობა, მიწად-მოქმედება და ვაჭრობა საზოგადოების ეკონომიურ მოქმედებას ეკუთვნის. ყოველ ზემოდ აღრიცხულ ნაწილს სულიერის თუ ფიზიკურის შრომისას განაგებს რთული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება, რომლის დანიშნულება ის არის, რომ სხვა და-სხვა ორგანოთა დახმარებით უშიშარ-ჰყოს ყოველი წევრი საზოგადოებისა და მშვიდი მიმდინარეობა ყოველგვარ შრომისა, რომელიც-კი სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის; გარდა ამისა, ხელი უნდა შეუწყოს სხვა-და-სხვა მშრომელთა შეთანხმებულს საზოგადო მოქმედებას და სახელდობრ იმ მოქმედებას, რომელიც უფრო სასარგებლოა საზოგადოების სულიერად და მატერიალურად აღყვავებისათვის.

აქედგან ცხადადა სჩანს, რა შემაერთებელი, შემაკავშირებელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივს ცხოვრებაში სახელმწიფო წეს-წყობილებას. იგი ლოღიკურ საჭიროებადა ხდება ყველგან, სადაც-კი ჰსუფევს და დღითი დღე ვრცელდება დედააზრი შრომის განაწილებისა და აქედგან მიმდინარე სპეციალურად განცალკევება ნაშრომისა, სადაც ყველას შეაქვს მხოლოდ ერთი სპეციალური მცირე ნაწილი იმ დიდს გონებრივის ან ფიზიკურის შრომისა, რომელმაც უნდა აცხოვროს და აყვავოს სახელმწიფო—ეს უმაღლესი ბიოლოგიური ერთობა. სპეციალურ მუშათა ნაშრომი განწყობილ უნდა იქმნას როგორც ღირსების მხრივ, ისე რაოდენობრივადაც; ჰარმონიულად შეერთებული ერთ საზოგადო საგნად, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს უსაჭიროესი მოთხოვნილებანი საზოგადოებრივის ორგანიზმისა. ეს არის იდეალური დანიშნულება სახელმწიფო წეს-წყობილებისა. ეს ერთგვარობა, რომელსაც ჰპოვებენ სწავლულნი საზოგადოებრივ ორგანიზმის და კერძო, ერთეულ ორგანიზმის ცხოვრებაში,—კერძო ადამიანი სულ უბრალო, მარტივ სხეულთაგან არის შემდგარი ისე, როგორც საზოგადოება კერძო ადამიანთაგან შესდგება და ორივე ორგანიზმში ერთი და იგივე შრომის განაწილება ჰსუფევსო—ამტკიცებს საჭიროებას შემაერთებელ და წესის მიმცემ ძალისას, როგორც კერძო ადამიანისა, ისე საზოგადოებისათვის; ამ დანიშნულებას კერძო ადამიანის ცხოვრებაში ნერვების სისტემა ასრულებს და რთულ საზოგადოებრივ ორგანიზმში იმავე დანიშნულებას უნდა ასრულებდეს სახელმწიფო წეს-წყობილება.

(დასასრული იქნება)

მაშობდენ: ცხრას, ჩაქას, (შემოკლებული პროფერანსია) და ბოლოს-კი პროფერანსიც შემოიღეს. ამას მოსდევდა „კონჩინკა“, „ლოტო“, ნარდი, „ტამა“, „დომინო“. ერთის სიტყვით, არა მგონია, რომ სხვა ქალაქებში ჰქონდეთ შემოღებული ამდენი საყომარბაზო. ეხლა-კი ახალმა მაზრის უფროსმა აღკრძალა ყავახანებში ყომარბაზობა და აგერ ორი კვირაა აღარავინ თამაშობს. ამ განკარგულებისა ყველა მადლობელია. წარმოიდგინეთ, რომ თვით მეყომარბაზენიც გონს მოვიდნენ და ამბობენ, რომ ეს რა კარგი მოხდა, ჩვენს ჯიბეს პატარა სიკეთე დაეტყოვო. ახლა ყავახანების პატრონები სთხოვენ მაზრის უფროსს, რომ ისევე მოგვეცით ნება საყომარბაზოების გამართვისაო, მაგრამ, რაღა ეჭვი აქვს, ეს თხოვნა არ იქნება შეწყნარებული.

*** ჩვენ ახალქალაქიდგან მივიღეთ ბ-ნ პ. ნაცვლიშვილისაგან შეკრებილი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებიი სასარგებლოდ“ 8 მან. 50 კაპ. ეს ფული შემოუწირავთ: კნ. ანეტა ჯანდიერს, ნენე ნაცვლიშვილისას, სონა ნაცვლიშვილისას, ვანო გომელაურს, ი. მენთეშაშვილს, თონიკე, ვანო, გიგო და გიორგი ნაცვლიშვილებს და ბანკო ხატიაშვილს. ეს ფული გარდაეცა დანიშნულებისამებრ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. მეტეხი. (გორის მაზრაში). 17 იანვარს ჩვენს სოფელში სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ბოგდანოვი მობრძანდა და გამოგვიცხადა— სოფელში ახალი სკოლა უნდა აშენდესო. სოფელმა სკოლისათვის ბ-ნ ბოგდანოვს ადგილი აჩვენა. ეს ადგილი სივრცით ასე სამის დღის იქნება და ბ-ნ ნაცვლიშვილებს ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი სურვილითვე სოფელს დაუთმეს. ბ-ნი ბოგდანოვი მთავრობის მხრივ ორმოც-და ათს თუმანს შეჰპირდა, რომელთაგან ათი თუმანი მაშინვე გადასცა სკოლის მზრუნველებს, ხოლო ორმოცს თუმანს ნაწილ-ნაწილად გამოჰგზავნის თავ-თავის დროზედ. სოფ. ახალ ქალაქში მცხოვრებმა თავ. გიორგი ივანეს ძე თარხანმოურავმა სოფელს სკოლისთვის ორმოცი ხეტყე აჩუქა თავისის ტყიდგან. ამ შეწირულებისათვის თავ. თარხან-მოურავს გლეხებმა დიდი მადლობა გადაუხადეს. სკოლის ზედამხედველებად სოფელმა ექვსი კაცი აირჩია: ივანე ბოჭორიძე, აზ. დავით მაღალაშვილი, ამავე სოფლის მღვდელი ისიდორე კვიციანიძე, ვანო იგრიაშვილის, მიხეილ აბუაშვილი და ალექსი ნაცვლიშვილი. ეს კაცები იმდენად ჭკვიანნი და კეთილ-სინიდისიერნი არიან, რომ იმედია, სკოლის შენობას დროზედ და რიგიანად ააგებენ და საზოგადოდ მათდამი მინდობილს საქმეს რიგიანად გაუძღვებიან.

მეტეხელი გლეხი ალექსი მირზაშვილი.

სოფ. ავლევი. (გორის მაზრა). ერთი საკვირველი ამბავი მოხდა ავლევში: 8 თებერვალს აქაური გლეხი ნიკა კოკოლაშვილი უცებ ავად გახდა. დაიწყო მანჭვა, გრეხა, ხან თავ-დაღმა დაეცემოდა, ხანიქით აწუდებოდა, ხან აქეთ და გაიძახოდა: „ეკლესიიდგან თეთრად შემოსილი ქალი გამოვიდა და მითხრა, უთხარი მამაშენს, რომ თითონ თავისის სახლობით და მისი სამივე ძმები აქედგან აიყარნენ და სხვაგან გადასახლდნენ, თორემ სულ ერთიანად გაგწყვეტავთო.“ ამ ყოფაში დაადამა თურმე საწყალმა ნიკამ. მეორე დღეს უფრო საზარელი ამბავი დატრიალდა კოკოლაშვილის ოჯახში. ნიკას გარდა სამი კიდევ სხვაც იმსავით გახდა ავად: ნიკას ცოლი, დასაქორწინებელი ძმა და გასათხოვარი და. თითოეულს ავადმყოფს სამ-სამი კაცი ძლივს იმაგრებდა. ოთხივენი იმას გაიძახოდნენ: „ღვთისმშობელი გვეუბნება, აქედგან აიყარენითო!“

ავადმყოფების მამამ სიმონმა ეს ამბავი მღვდელს გააგებინა. მღვდელი მიხეილ ნასარიძე დაუყოვნებლივ მოვიდა, გამოჰკითხა რა სჭამეს ავადმყოფებმა, ანუ რაში მოხარშეს საჭმელიო. მღვდელსაც და სხვებსაც ასე ეგონათ, რომ ავადმყოფობის მიზეზი ის არის, რომ უთუოდ რითიმე თავი მოიწამლესო, მაგრამ ეს ეჭვი ტყუილი გამოდგა. მღვდელმა ავადმყოფთ პარაკლისი გარდაუხადა და სახარება წაუკითხა. ამის შემდეგ ისინი ცოტაოდნად გონს მოვიდნენ, მაგრამ მაინც არეულად ლაპარაკობდნენ და ხშირად იმასვე იმეორებდნენ თურმე, რასაც წინად ამბობდნენ, ე. ი. ღვთის-მშობელი გვიბრძანებს აქედგან გადასახლებასაო. ახლა უკეთ არიან, მაგრამ თავიანთი სამოსახლოდგან-კი სხვაგან აპირებენ გარდასახლებას.

სიმონ იმერლიშვილი

## რუსეთი

პირველი რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებელთა საზოგადო აღწერა უკვე დაბოლოვდა 20 იანვარს. ცნობები ამ აღწერის შესახებ მომზადებული იქნება აღდგომამდე, ხოლო უტყუარი ციფირები იმის შესახებ, თუ რომელს გუბერნიასა, მაზრასა და ქალაქებში რამდენი მკვიდრი აღმოჩენილა, მხოლოდ ამ წლის დამლევს იქნება გამოქვეყნებული.

— კიევიდგან ოდესას მიდის და შემდეგ აქედგან ბომბეიში სამეცნიერო ექსპედიცია შავის ჭირის შესასწავლად. ეს ექსპედიცია შეუდგენია შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველს კომისიას, რომელიც პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელის თავმჯდომარეობით არის დაარსებული. ექსპედიციას, სხვათა შორის, კიევიდგან მისდევენ კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსტეტის პროფესორი ვ. კ. ვისოკოვიჩი და სამხედრო ექიმი დ. კ. ზაბოლოტინი. ექსპედიცია ბომბეიში ოთხს თვეს დარჩება და ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ თვალ-ყურს ადევნებს იმას, თუ როგორ ვრცელდება შავი ჭირი და როგორ ჰმოქმედებს აცრა შედედებულის სისხლითაო.

დიდად უცნაური და იშვიათი ამბავი მომხდარა ამას წინად ვარშავას ახლო დაბა მარიმონტში. ერთს რკინის გზის მოხელეს, გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულს, საოფლე შეჰყრია და როდესაც განკურნებულა ამ სენისაგან, სრულიად დავიწყებული ჰქონია წერაცა და კითხვაც. ვარშავის ექიმები დიდად გაოცებულნი არიან თურმე ამ ამბით და სცდილობენ გამოიკვლიონ როგორმე ამ საოცარი მოვლენის მიზეზი.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** კრიტის მომავალ ბედ-იღბალისას თვით კრიტის მკვიდრნი და საბერძნეთი სხვას ჰფიქრობს, ხოლო ევროპა—სულ სხვასა. ჩვენ უკვე ვიცით საბერძნეთის განზრახვანი ამ საგნის შესახებ. ეხლა ახალი მხოლოდ ის არის, რომ პოლკოვნიკს ვასოსს, რომელიც კრიტში გაგზავნილ საბერძნეთის ჯარს განაგებს, საბერძნეთიდგან კიდევ მრავალი ჯარის-კაცი მიემატა. ვასოსმა კრიტის მრავალი ადგილები დაიჭირა და გამოაცხადა, რომ კუნძული საბერძნეთს შეუერთდაო. კუნძულზე საბერძნეთის ყველა საკონსულოები დაკეტილ იქმნა ნიშნად იმისა, რომ კრიტი საბერძნეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენს და თავისავე სამეფოში საბერძნეთს კონსულები რაღად უნდაო.

ევროპის დიდი სახელმწიფონი არათუ არ ეთანხმებიან საბერძნეთს ამ საქმეში, არამედ ზოგიერთი იმათგანი სასტიკად დასჯასაც უპირებს ამ სახელმწიფოს. გერმანიამ, მაგალითად, წინადადება მისცა დანარჩენს დიდსახელმწიფოებს, რომ საბერძნეთის ჯარი განვაძეოთ კრიტიდგან და თვით საბერძნეთს ალყა შემოვარტყათ, რომ ჩვენი წინააღმდეგობა აღარ გაბედოსო. გერმანიის წინადადება სხვა სახელმწიფოებმა უარჰყვეს, რის გამოც გერმანიის გაზეთები თავიანთ მთავრობაზედ ნაკლებ არა სწყრებიან. გერმანია ამ წინადადების მიუღებლობას ინგლისს აწერს და დიდადაც ემუქრება.

14 თებერვალს დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ ლორდ სალისბერმა, ინგლისის მთავარ-მინისტრმა, ლორდთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ კუნძულ კრიტს თვით-მმართველობა (ავტონომია) უნდა მიენიჭოს ისე, როგორც კუნძულს სამოსს აქვს მინიჭებულიო. ეს თავისი განზრახვა სალისბერის სხვა დიდთა სახელმწიფოთათვისაც უცნობებია. რადგან ადვილი საფიქრებელია, რომ ინგლისის მთავრობას წინადადება ამ საგნის შესახებ სხვა სახელმწიფოებმა შეიწყნარონ და საბერძნეთიც დაჰყაბულდეს, როგორც დღევანდელი დეპეშები გვატყობინებს, ამისათვის მეტი არ იქმნება სამოსის შესახებ ორიოდე ცნობა ვაუწყოთ მკითხველს.

ამ საუკუნის დამდეგს, როცა ბერძნები ასე თავგამოდებით იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, სამოსმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ჯარი და თავისუფლება მოიპოვა. ევროპის დიდნი სახელმწიფონი, როგორც ამ ჟამად, ისე მაშინაც ყველგან და ყველას საქმეში ერეოდნენ. სამოსის თავისუფლება ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა საჭიროდ არ სცნეს და 1827 წ. ლონდონში მომხდარ დადგენილების ძალით ეს კუნძული ოსმალეთს დაუბრუნდა. ოსმალეთმა მაშინ კეთილ-გონიერება გამოიჩინა და ხონთქრის ფირმანით 1832 წელ. სამოსი ხონთქრის უზენაეს უფლებათა ქვეშ მყოფ სამთავროდ იქმნა აღიარებული. კუნძული სამოსი 10 ოთხ-კუთხიანი მილის სივრცისა არის და ზედ 50,000-მდის მცხოვრები ითვლება. კუნძულის მთავარს ხონთქარი ჰნიშნავს, ეს მთავარი უთუოდ ჩამომავლობით ბერძენი უნდა იყოს. სამოსში მთავრობის უფლება შთამომავლობით არ გადადის და მამის შემდეგ შვილს არ ეძლევა, ეს კუნძული 27,000 მანეთამდის იხდის ოსმალეთის სასარგებლოდ წელიწადში. სამთავროს თავისი დამოუკიდებელი სასამართლოები აქვს და კანონების დასადგენად წარმომდგენლებს ირჩევს თავისს მკვიდრთა შორის.

კრიტი-კი სივრცით 170 ოთხ-კუთხი მილის ოდენაა. მცხოვრებთა რაოდენობა იქ 300,000 იქნება, რომელთაგან 90,000 მაჰმადიანია, დანარჩენნი-კი ბერძნები არიან.

### რუსეთის სამხედრო ელჩის აზრი კრიტის შესახებ.

დღეს მთელი ევროპა თავით ფეხამდეა შეიარაღებული და გაფაციცებით ადევნებს თვალს კრიტის საქმეებს. ყველა დარწმუნებულია, რომ კრიტის კუნძულზედ ანთებული ცეცხლი საშინელის ძალით მოედება მთელს ევროპას და ძირიან-ფესვიანად შეარყევს მისს მშვიდობიანობასაო. საბერძნეთმა კიდეც გაჰგზავნა მხედრობა კუნძულს კრიტზედ და საბერძნეთთან შეერთებულად გამოაცხადა იგი. ევროპის დიპლომატია ყოველს ღონეს ჰხმარობს, რომ როგორმე ჩააქროს ეს საშინელი ცეცხლი. დიდი და ძლიერი გერმანია თითის ქნევითა და მუქარით აფრთხილებს საბერძნეთს: დასდეგი და შენს ქერქში იყავი, თორემ შენს ნავთ-სადგურებს ჯარს შემოვარტყამ და მერე ჰნახავ, თუ რაც მეომარი ბრძანდებიო. როგორც გუშინდელის დეპეშებიდგან ვუწყით, ევროპის სახელმწიფოები კიდეც მორიგებულან იმის შესახებ, რომ თუ საბერძნეთმა წინააღმდეგობა არ დაიშალა, იმის დასამორჩილებლად საუკეთესო საშუალება ის არის, რომ გერმანიის ეს წინადადება შევიწყნაროთ... და ყოველსავე ამის შემდეგ რუსეთის სამხედრო აგენტი, პოლკოვნიკი პეშკოვი მოგვითხრობს, რომ კრიტის აჯანყება მხოლოდ ორასიოდე კაცის, კერძო ინტერესებით გატაცებულის, უსაქმო და უბინაოს საქმეა და საბერძნეთს ამაში არაფერი წილი არ უძევს, რადგანაც მან კარგად უწყის, რომ კრიტის საქმე არც ისე ადვილად მოსაგვარებელია, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათო.

აი თვით პოლკოვნიკის პეშკოვის სიტყვები:

„კუნძულს კრიტზედ მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ მკვიდრნი ისევ აჯანყდნენ; ეს აჯანყება მოახდინეს თავისის პირადის ინტერესებით გატაცებულ, უბინაო და უსაქმო აგენტებმა, რომელთა რიცხვიც 200 არ აღემატება. საბერძნეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ კრიტის საქმე არც ისე ადვილი იყო მისთვის და არც მონაწილეობა რა მიუღია ამ აჯანყების საქმეში. ხალხს მხოლოდ სხვა-და-სხვა კომიტეტი და იმათი აგენტები აჯანყებდნენ... დიდთა სახელმწიფოთა მიერ გამოგზავნილ სამხედრო კამისიის წევრნი ხშირად შეხვდებოდნენ ხოლმე კრიტზედ ისეთს კაცებს, რომელნიც დაუფარავად უწოდებდნენ თავიანთს თავს „საპოლიტიკო აგენტს“. შემდეგ პოლკოვნიკმა სთქვა, რომ „გარდა ზემოთ დასახელებულის 200 კაცისა, ამ ქვეყნის მკვიდრ ბერძნებს, რომელნიც მთელ ამ კუნძულის $^2/_3$ შეადგენენ, სრულიადაც არა სურთ საბერძნეთის ქვეშევრდომობა, რადგანაც ისინი მარტო მშვიდობიანობასა და რიგიანს ეკონომიურს წესწყობილებას არიან მოწადინებულნი და ამის მიღება მხოლოდ დიდთა სახელმწიფოთაგან შეუძლიანთ. კრიტი ისეთი ზეგარდმო კურთხეული ქვეყანაა, რომელიც 200,000 გირვანქა სტერლინგს წმინდა შემოსავალს იძლევა წელიწადში, და თუ ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა, ორჯელ მეტი შემოსავალი ექნება. ამ კუნძულისათვის აუცილებელ საჭიროებას მხოლოდ ფინანსებისა და ეკონომიურ მდგომარეობის განწესრიგება შეადგენს დღეს და ყოველსავე ამას ვისგან უნდა მოელოდდეს იგი, თუ არა ევროპისაგანო...“

როგორც „ივერიის“ გუშინდელ ნომერში გარდავეცით მკითხველებს, საბერძნეთის მინისტრი დიდის რიხით ეუბნებოდა ევროპის დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომ კრიტის ბერძნები თავისის სარჩო-საბადებლითა და მამულ-დედულით ჩაუცვივდნენ ხელში სარწმუნოებრივის ფანატიზმით გონება დაბნეულს მაჰმადიანებს, რომელთა ლაგამ-ახდილსა და არა ადამიანურს მოქმედებას საზღვარი არა ჰქონდა და რა გასაკვირველია, რომ საბერძნეთის მთავრობამ არ მოისურვა გულს ხელდაკრეფილი ეცქირა თავისთა თანამოძმეთა ასეთის აუტანელის მდგომარეობისათვის და ჯარებიც გაჰგზავნა, რათა იარაღით ჩამოეგდო კრიტში მშვიდობიანობა და თავისი დაჩაგრული მოძმეები მტარვალთა ხელიდგან განეთავისუფლებინაო. თუ რუსეთის სამხედრო აგენტის აზრი მართალი გამოდგა და კრიტის ბერძნებს მართლაც არა სურთ თავისისავე თანამოძმე ბერძნებთან არავითარი ურთიერთობა, მაშინ საბერძნეთს მეტი რაღა დარჩენია, რომ ხმლიანი ხელი ძირს დაუშვას და გულ-დაწყვეტითა სთქვას: „მე შენკენ, შენ-კი ეშმაკისკენაო“.

დასასრულ რუსეთის სამხედრო აგენტი ურჩევს ევროპას, რომ კუნძულ კრიტში ჟანდარმთა რაზმი დააყენეთ ევროპიელ აფიცრების მეთაურობით და ადგილობრივს მკვიდრს იარაღი აჰყარეთო.

### ნაწყვეტი

ნუ ხარ, კაცო უთავბოლო,
ნუ იძახი: ხვალე, ხვალე,
წუთისოფლის სტუმარი ხარ,
შეუდექი საქმეს მალე;
არ დაჰკარგო დრო უბრალოდ,
ბოროტებაც მოიშალე,
ხორცსა შენსა მიწა შესჭამს,
სულისათვის იფარხმალე.

დ. მაჩხანელი

### დამაკვირდი

როგორც ცეცხლის ალი მაინც ზეკით იწევს, თუნდ სანთელი თავდაყირა დაიჭირო, ისეც კვლავ ზე აღიწევა პატიოსანი და კეთილ-შობილი კაცი, რაც გინდ ბედმა ძირს დასწიოს.

ინდოეთური-სიბრძნე.

***

თავისის თავის და სურვილების და-

ძლევა ომში გამარჯვებაზე უფრო უდიდესი გამარჯვებაა.

ბუდდა.

***

უქმობა, ზარმაცობა—გზაა სიკვდისა, საქმობა, მღვიძარეობა—სიცოცხლის გზაა.

ბუდდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

სტამბოლი და სულთანი ოსმალეთისა დღეს ყველას ენაზე აკერია. იქნება ჩვენის მკითხველებისათვის მეტი არ იყოს,—ცოტა რამ ვაუწყოთ თუ სტამბოლისა არა, ფადი-შაჰის ცხოვრებისა მაინც. თვითონ სტამბოლის მდებარეობა და გარე-მოცულობა დიდი ხანია ყველასაგან მოწონებულია და ქებული. სხვათა მშვენიერ სანახავთა შორის ადგილ-მდებარეობით ერთი უკეთესთაგანი იგი ნაწილია, რომელსაც „ოქროს რქას'' ეძახიან. ძნელიაო, ამბობს ერთი მწერალი, კაცმა მთელს ქვეყნიერობაზე უკეთესი და უმშვენიერესი რამ სხვა ჰნახოს, ნამეტნავად ღამით, როცა სატახტო ქალაქი ფადი-შაჰისა განათებულია. ეს რაღაც გრძნეული სანახაობაა, ადამიანის მიერ აუწერელი. სტამბოლი, ხელში რომ ევროპიელს ჩავარდნოდა, უეჭველია მთელს ქვეყნიერობაზე ერთი უმშვენიერესი ქალაქი იქნებოდაო.

ამავე ავტორის სიტყვით, ერთ უკეთეს შენობათა შორის სულთნის სრა-სასახლეა, რომელსაც ,,ილდის-კიოსკი'' ჰქვიან და მეჩითი ,,ჰამიდიე-ჯამე'', ესე იგი, ჰამიდიეს მეჩითი. სრა-სასახლე და მეჩითი ერთად არიან. ეხლა ,,ილდის-კიოსკი'' ერთს ისეთს მშვენიერად და მდიდრად შემკულს წალკოტს წარმოადგენს, რომ ადამიანის გონებისაგან მოუსაზრებელია. იგი სავსეა შადრევანებითა, რომელნიც იქაურობას აგრილებენ. შიგ იშვიათნი და ძვირფასნი ფრინველნი თავისს ნებაზე დაჰფრინავენ და სხვა-და-სხვა პირუტყვს, საგანგებოდ მოყვანილს, ინახვენ. ოსმალოს სულთნებს საზოგადოდ უყვარდათ მდიდარი შემკულობა სრა-სასახლისა და ყველას აბდულ-ჰამიდმა გადააჭარბა: ეს ჭაობიანი და ცარიელი ადგილი სწორედ სამოთხედ აქცია. იქ ხეები ზამთარშიაც კი ჰყვავიან მწვანედ. თვითონ წალკოტი დაფენილია ზღვის-პირად და მისს გასაკეთებლად მოწვეულნი ჰყვანდათ უკეთესნი მებაღენი ევროპისა: ერთი ამათგანი ახლაც სულთნის სრა-სასახლეში სცხოვრობს.

სულთანი მიბრძანდება ხოლმე ჰამიდიეს მეჩითში „სელამლიკის" დროს, ესე იგი, მაშინ, როცა იგი, ჩვეულებისამებრ, უნდა ეჩვენოს და დაენახვოს ხოლმე თავისს ერს. ამ დღეს ორი ათასი სხვა-და-სხვა ჯარის-კაცი მონაწილეობას მიიღებს ხოლმე ამ სადღესასწაულო დღეს. თვითონ „ილდის-კიოსკში" ხუთმეტ ათასამდე ჯარის-კაცი სდგას. თავისი საკუთარი შტაბი ჰყავთ და უფროსად გენერალი რიზა-ფაშაა.

„ილდის-კიოსკი" მაღლობზე დგას და სწორედ მთლად გარემოცულია მწვანე წალკოტითა. გაზი ოსმან-ფაშას, გმირს პლევნისას, იქავ ახლოსა აქვს თავისი სასახლე და თითქო დაჰრაჯობს სულთანის სრა სასახლეს. ამ ადგილას, საცა ,,ილდის-კიოსკია'', ამ შვიდმეტის წლის წინად გაუვლელი ბარდები იყო და ჭაობები და სულთანმა იმოდენა მხნეობა გამოიჩინა, რომ სამოთხედ აქცია. ინგლისელები ტყუილად-კი არ ეძახიან სულთანს: ,,პოლიც-მეისტერია'' სტამბოლისაო.

ფადი-შაჰი მეჩითში დადის ყოველ პარასკევს დღეს. იგი ყოველ-კვირა ერთხელ მაინც უნდა დაენახოს თავისს ერს და ჯარს. ეს ჩვეულება ძველის-ძველი ჩვეულებაა და თუ სულთანი ერთხელ როგორმე მოსცდა, ერთი პარასკევი როგორმე გამოეპარა, მაშინვე ერი აუჯანყდება თურმე. ამიტომაც რაც გინდ ცუდს გუნებაზე იყოს სულთანი, რაც გინდ არ უნდოდეს მეჩითში წასვლა, მაინც უნდა წავიდეს სასახლიდამ მეჩითში ჩვეულებისამებრ. ჯარი უკან მისდევს მუსიკითა და ერთის ამბითა დ ყოფითა, რომ ყველამ დაინახოს მხიარული სახე ჯარის-კაცთა, გაბედნიერებულთ მით, რომ სულთანის ნახვას ეღირსნენ. ნახვა სულთნისა კეთილმორწმუნეთა მუსლემანთათვის უდიდესი ბედნიერებაა.

ამ პარასკევს დღეს, როცა ,,სელამლიკია'' სტამბოლში სადღესასწაულოდ ირთვება, ჯარის-კაცი სააღლუმო ტანისამოსს იცვამს, ხალხი, რათქმა უნდა, მარტო ოსმალონი, ამ დღეს უქმობენ, ხელს არა სძვრენ საქმისათვის და ყავახანებში ატარებენ დროს. უამისოდაც ყავახანებში დროს გატარება ძალიან უყვართ ოსმალებს, თუ ჯიბეში რამ გააჩნიათ.

მეჩითი ჰამიდიე სულ მთლად მარმარილოს ქვისაა. კარგა ფართოა, ასე რომ რამდენსამე ასს კაცს დაიტევს. მეჩითში რომ მიდის სულთანი სალოცავად თან უსათუოდ ახლავს ოსმან-ფაშა, რომელსაც ოსმალოები პლევნის შემდეგ უძლეველ კაცად ჰხადიან. ოსმან-ფაშა დიდად საყვარელი კაცია სულთანისა და თვითონ ოსმალთაც დიდს-პატივში ჰყავთ, თუმცა პლევნის აქედ დიდმა ხანმა გაიარა.

ღვთის-მსახურებას ასრულებს მეჩითში შეიხ-ულ-ისლამ ჯამილ-ედინ ეფენდი, აგრედვე დიდად საყვარელი კაცი სულთანისა. თვითონ აბდულ ჰამიდი პატარა ტანის კაცია, მჭლე და გამხდარი, შავის ცოცხალის თვალების პატრონია და სულ აქედ-იქით აფეთებს თვალს, თითქო რისამე ეშინიანო, თითქო ჰგონია, რომ საცაა ვინმე მომკლავსო. ეს შიში ყოველთვის აქვს გულში სულთანს და ამიტომაც სიცოცხლე მისი გამწარებულია და უსიხარულო და გვერდ ოსმან-ფაშა თურმე რომ არა ჰყვანდეს განუშორებლივ, სულთანი ძნელად თუ აიტანდა ამისთანა სიცოცხლეს. ყოვლად უშიშარი ოსმან-ფაშა ამხნევებს თურმე და გულს უკეთებს. თითქმის მთელი დღე სულთანს გვერდითა ჰყავს ოსმან-ფაშა, სახელმწიფო საქმეებში იმას ეკითხება, მაგრამ ვაჟკაცს მცველს პლევნისას ბევრი არა გაეგება-რა.

„ილდის-კიოსკში" მუდამ სიჩუმე და დუმილია, თითქო სახლში მკვდარიაო. სულთანს მაინც და მაინც ხმაურობა არ უყვარს. ზოგჯერ და ნამეტნავად გაზაფხულობით სულთანი შეჯდება ხოლმე თავისს საყვარელ ჯორ-ცხენზე და დასეირნობს წალკოტში. ამის მეტი სხვა გართვა და შექცევა არ იცის. ამის გამო ცხოვრება მხლებლებისა სრა-სასახლეში მეტად უგემურია და უმხიარულო. მარტო ჰარამხანაში, საცა ოთხასამდე სულთნის ცოლები ითვლება, ზოგჯერ ისმის მხიარული საუბარი და ხმაურობა, ისიც ძალიან იშვიათად.

ტყუილიაო, ამბობს ავტორი, რომლის აღწერილობიდამ მოგვყავს ეს ამბები, ვითომც სულთანს ამდენი ცოლები ჰყვანდესო. ბევრი იმისთანა ქალია ჰარამ-ხანაში, რომ სულთანს იმათთან არავითარი ცოლქმრობა არა აქვს. ისინი მარტო სულთანის სრა-სასახლეში იზრდებიან და ფრეილინებად ითვლებიან სულთანის ერთად-ერთის მეუღლისა. უწინ ჩვეულება ყოფილა, რომ სულთანი უწყალობებდა ვისმე ერთს ამისთანა ქალს თავისის წყალობის ნიშნად. ეს საძაგელი ჩვეულება ამოჰკვეთა აბდულ მეჯიდიემ, რომელიც ერთი უკეთესი და უპატიოსნესი სულთანი იყო ოსმალეთის სულთნებთა შორის.

„ილდის-კიოსკში" ერთი ცალკე ლამაზი სახლია, საცა სულთანი მიიღებს ხოლმე ელჩებს და მათს მოენებს (დრაგომანებს). სულთანი მარტო ოსმალურად ესაუბრება სხვას, თუმცა სხვა ენებიც იცის, მაგალითებრ, არაბული და ფრანგული. როცა სულთანს ელაპარაკება ვინმე ჯერ, რასაკვირველია, ფეხზე უნდა იდგეს და მერე ვერ გაბედოს პირდაპირ უყურებდეს, თავი უნდა დახრილი ჰქონდეს გულზე და მუცელზე ხელები ეწყოს ისე, რომ მარჯვენა ზემოდ იყოს და მარცხენა ქვემოდ. ეგ იმისათვის, რომ ყოველს სიტყვაზე, რომელსაც სულთანი აღირსებს, მარჯვენა ხელი ჯერ ტუჩებსა და მერე შუბლზე მიიტანოს, აგრედვე როცა პასუხს რასმე მოახსენებს. ძველს დროში უფრო რთული ცერემონიები ყოფილა: მაშინ სულთანის წინაშე დაჩოქილნი უნდა მდგარიყვნენ. სულთან მეჯიდიეს ამოუკვეთნია ეს ჩვეულებაც. (ვ. ი ლ.)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

**პარიზი.** გაზეთ „Gaulas"-ში ლონდონიდგან მოსული დეპეშაა დაბეჭდილი, რომელიც გვატყობინებს, რომ საბერძნეთის მეფემ განაცხადა—დიდ სახელმწიფოთა პირობას მივიღებო.

**ლონდონი.** ათინიდგან კერძო დეპეშით იუწყებიან, რომ მეფემ დიდ სახელმწიფოთა წინადადების მიღება გარდასწყვიტაო.

**სოფია.** სერბიის მეფე ორშაბათს ჩამოვა და უკან დაბრუნდება ხუთშაბათს საღამოს.

16 თებერვალი

**პეტერბურგი.** ვარშავის გენერალ გუბერნატორი თავადი იმერეტინსკი პეტერბურგიდგან ვარშავას 15 თებერვალს წავიდა.

ათინიდგან მოსული რუსეთის ელჩი გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველს გრაფ მურავიევს გამოეცხადა.

**პარიზი.** მთავრობამ, იმ აზრით, რომ რუსეთთან საალებ-მიცემო დამოკიდებულება განავითაროს, შეადგინა პროექტი პეტერბურგში საკომერციო აგენტის თანამდებობის დაარსების შესახებ.

**კონსტანტინოპოლი.** პოლიციამ ბრძანება გასცა, რომ გალატის დროს გასატარებელ შენობებზე საბერძნეთის დროშა ჩამოხსნითო.

**ბუქარესტი.** 15 თებერვალს სენატის პრეზიდენტი დიმიტრი გიკა გარდაიცვალა.

**ლონდონი.** შეერთებულს კლუბში კერზონმა წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, რომ კრიტის საქმეთა გამო დიდნი სახელმწიფონი პასუხის-მგებელნი არიან და თავიანთ თავს უყურადღებოდ ვერ დასტოვებენო. არც ერთს ქვეყანას, რაც უნდა კეთილ-შობილურნი გრძნობანი აღელვებდნენ ნება არ აქვს გარდაწყვეტა ამ საქმისა დიდს სახელმწიფოებს გამოაცალოს ხელიდგანაო.

დიდ სახელმწიფოთა ჯარს, რომ მეამბოხეთათვის თოფ-ზარბაზანი არ დაეშინა, შესაძლოა, საერთაშორისო რაზმი იძულებულ ყოფილიყო სირცხვილეული გაბრუნებულიყო გემებზედ და უკან დაეწია.

17 თებერვალი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე ტულას წავიდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა აღიკრძალოს გაზ. „Гласность''-ის თითო ცალობით გაყიდვა.

ხელმწიფე იმპერატორს გამოეცხადნენ ციმბირის ახლად დაარსებულ სასამართლო დაწესებულებათა თავმჯდომარენი და ბრალმდებელნი და მათ შორის ირკუტსკის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი თავადი ორბელიანი.

**ვენა.** ,,ფრემდენბლატ''-ი სწერს: ,,თუ უჯიათობის გამო თავი არ დაანება საბერძნეთმა თავისს უბედურს და ცრუ პოლიტიკას, უკვე ჩადენილ შეცდომათ ერთს ახალს შეცდომას კიდევ მიუმატებს. ის, რაც ვნებათა აღელვებას მოჰყვა, ეხლა უკვე უაზრო და უსაგნო ახირება იქნება. საბერძნეთი უნდა დაემორჩილოს სურვილს ევროპისას, რომელიც სარეფორმატორო მოქმედებათა სამზადისშია ოსმალეთის წინააღმდეგ და არ მოსტყუვდება საბერძნეთით, რომელსაც განზრახვა აქვს კრიტი ჩამოაცალოს ოსმალეთის სახელმწიფოსაო. საბერძნეთს შეუძლიან თავ შეურცხვენელად დაიწიოს უკან, რადგან კრიტი საუკეთესო მერმისის გზაზედა სდგასო.

# განცხადებანი

1893 წ. 8 ივნისის, სატრაქტირო დებულების მე-34 §-ის თანახმად გამგეობა სთხოვს მობმანდნენ გამგეობის სადგურში; სასტუმროებისა (гостиница) და ბუფეტების პატრონნი ამა წლის 27 თებერვალს, ხუთშაბათს; რესტორანებისას და კოფე-რესტორანებისას 1 მარტს, შაბათს-ლუდხანებისა, სარდაფებისა, სადაც საჭმელებსაც ჰყიდიან და სასტუმრო ოთახებისა, სადაც სამზარეულოცა აქვთ გამართული—3 მარტს, ორშაბათს, დილის 10 საათზედ, რათა ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული სატრაქტირო გარდასახადი ამა 1897 წლის ერთმანეთ შორის გაიწერონ. ხოლო ტრაქტირებისა, სასმელების დუქნებისა, ყავა-ხანებისა, სახაიებისა თუ ცხელს საჭმელსაც ჰყიდიან, საკანდიტეროებისა, ადგილობრივ საჭმელ ჰეროჟნებისა, სანოვაგეთა დუქნებისა და ბაკების პატრონთ, ქალაქის გამგეობა იმავე სატრაქტირო დებულების მე-33 §-ის თანახმად, სთხოვს მობრძანდნენ ამა გამგეობის სადგომში: 1) ტრაქტირების პატრონებს ამა წლის 17 თებერვალს, ორშაბათს; 2) სასმელების დუქნების პატრონებს—ამა წლის 18 თებერვალს, სამშაბათს; 3) ყავა-ხანებისა, სახაიებისა, თუ ცხელს საჭმელებსაცა ჰყიდიან, საკანდიტეროებისა და ადგილობრივ საჭმელ ჰიროჟნების დუქნების პატრონთ—ამა წლის 19 თებერვალს, ოთხშაბათს; 4) სანოვაგეთა დუქნების პატრონებს—ამა წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს და 5) ბაკების პატრონებს—ამავე წლის 25 თებერვალს, სამშაბათს, დილის 10 საათზედ, სატრაქტირო გარდასახადის გამნაწილებელ წევრთა ამოსარჩევად.

(3—6—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოაცხადა რა ამ 18 თებერვალს ამომრჩეველთა სიები ამოსარჩევად ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა, შემდეგის ოთხის წლისათვის 1897—1901, ამით საყოველთაოდ აუწყებს ბბ-ნთ ამომრჩეველთ, რომ ორის კვირის განმავლობაში გამოცხადების დღიდამ, ესე იგი, 5 მარტამდე 1897 წ. იგი გამგეობა მიიღებს ყოველს საჩივარს ამომრჩეველთაგან მასზე, თუ იგი სიები ან სწორედ შედგენილნი არ არიან, ან არა-სრულად და თუ საჩივარი გმასაყოფელად არ იქმნება გადაწყვეტილი გამგეობისაგან, მოჩივარს ნება აქვს გამგეობის გადაწყვეტილებაზე საჩივარი მიართოს ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს შვიდის დღის განმავლობაში მას შემდეგ, როცა გადაწყვეტილება გამგეობისა გამოეცხადება.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აუწყებს' რომ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ-დღე გამგეობის კანცელარიიდან ამომრჩეველთა სიები, შესახებ ხმოსანთა ამომრჩევისა ტფილისის ქალაქის საბჭოში დამდეგის ოთხი წლისათვის 1897—1901 წ.

(3—1)


ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.


Дозволено цензурою, Тифлисъ 17 го Февраля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.